მდინარე რიონის აუზში
ბუნების ძეგლების პოპულარიზაცია

ელ-ფოსტა: giorgi.dvalashvili@tsu.ge

გიორგი დვალაშვილი, მერი გუგეშაშვილი, ერეკლე ჩახვაშვილი, თამარ ფილაური, ნიკა წითელაშვილი

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

საქართველო გეომორფოლოგიური კონტრასტების სახელმწიფოა. მის ზედაპირზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი ჰიფსომეტრიული და მორფოლოგიური რელიეფის ფორმები: ღრმა ხეობები, მიწისქვეშა ლაბირინთები, ბრტყელი დაბლობები, ტაფობები, სხვადასხვა სიმაღლის პლატოები, მაღალი მთები, ქედები. ამ მხრივ ძალიან საინტერესო რეგიონს წარმოადგენს მდინარე რიონის აუზი.

ბუნების ძეგლები განუმეორებელია და ზოგიერთი სულ რამდენიმე ეგზამპლარია წარმოდგენილი. ხშირად მათი დაზიანება ხდება, ზოგჯერ კი სრულად ნადგურდება. ყოველივე ამის გამო, იკარგება ბუნების იშვიათი და უნიკალური ქმნილება, რის აღდგენაც შეუძლებელია. საჭიროა შეიქმნას კომპლექსური პროგრამა მათი შენარჩუნების, დაცვისა და გამოყენების შესახებ. კვლევის გენერალურ მიზანს წარმოადგენს ბუნების ძეგლების შესწავლა და მათი პოპულარიზაცია, ბუნების ძეგლების შესწავლა მათი პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნული აუზი იმდენად მდიდარია ენდოგენური წარმოშობის სხვადასხვა ფორმებით, რომ შეიძლება ჯერ უცნობი ობიექტების აღმოჩენა-შესწავლა, რომელთა შესახებ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაა ცნობილი.

ზოგიერთი ბუნებრივი ღირსშანიშნავი ძეგლი არის ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ობიექტი, თუმცა ეს ძეგლები ზოგჯერ ადამიანის უხეში ჩარევის შედეგად კარგავენ ბუნებრივ სილამაზეს. ამისათვის აუცილებელია ასეთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი ფენომენები ატარებდნენ ბუნების ძეგლის სტატუსს.

საქართველოში ბუნების უამრავი ძეგლი დაზიანდა ან სამუდამოდ მოისპო, ამ ბოლო დროს. საჭიროა ბუნების ძეგლთა ზუსტი აღრიცხვა და დაცვა, რათა შენარჩუნებულ იქნას ბუნების ფენომენები. ბევრი უნიკალური ბუნებრივი ძეგლი არ არის კეთილმოწყობილი და დაცული. კარგად პოპულარიზაციის შემთხვევაში შესაძლებელია ბუნებრივი ობიექტების ჩართვა ტურისტულ-საექსკურსიო მიზნებისათვის.